მესტიის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტი

კოდი	დასახელება	2027 წლის ბიუჯეტის პროექტი(ათ.ლარი)
	შემოსულობები	**28210**
1	შემოსავლები	**28210**
11	გადასახდები	25024.2
113	ქონების გადასახადი	6000
114	დამატებული ღირებულების გადასახადი	19024.2
13	გრაანტები (მიზნობრივი)	345.6
14	სხვა შემოსავლები	2840.2
141	შემოსავლები საკუთრებიდან	2550
1411	პროცენტი	250
1415	რენტა	2300
	ტყის ფონდი	2000
	იჯარა	300
142	საქონლის და მომსახურების რეალიზაცია	210.2
	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	210.2
	სანებართვო მოსაკრებელი	30.2
	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	180
143	სანქციები,ჯარიმები და საურავები	80
31	**არაფინანსური აქტივების კლება**	0
	ფინანსური აქტივების კლება	0
	ვალდებულებების ზრდა	0
	გადასახდელები	**28210**
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	9743
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	8674.5
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	2070.5
0 011 02	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია	6569
01 01 03	კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	35
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1068.5
01 02 01	სარეზერვო ფონდი	300
01 02 03	მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა	0
01 02 04	სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები	0
01 02 05	აიპ ახალგაზრდული თვითმართველობა	528
1 02 06	მუნიციპალური ტრანსპორტირების დაფინანსება	240.5
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5126
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)	1175
02 01 01	მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია	1175

02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	662
02 02 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	492
02 02 02	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	170
02 03	მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა	850
02 04	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	300
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	100
02 06	რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხოციელებული პროექტების თანადაფინანსება	1239
02 07	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება	800
02 08		
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2390.1
03 01	აიპ "მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური"	2390.1
04 00	განათლება	3350
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	3350
04 02	სკოლების თანადაფინანსება	0
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კეთილმოწყობა	0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4177.8
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1621.5
05 01 01	ა(ა)იპ სპორტული სკოლების გაერთიანება	1541.5
05 01 02	აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა	80
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1684.3
05 02 01	ბიბლიოთეკების დაფინანსება	177.6
05 02 02	ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი"	1356.7
05 02 03	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	150
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	322
05 04	აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ	550
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3423.1
06 01	მოსახლეობის ჯანდაცვის ხელშეწყობა	660
06 01 01	აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვა	213.5
06 01 02	მესტიის სავადმყოფოს-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება	446.5
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	1000
06 03	სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება	221
06 04	უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა	210
06 05	შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება	202.1

06 06	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა	130
06 07	მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების და მაჩუბების გადასახური მასალით უზრუნველყოფის პროგრამა	1000

2027-2030 წლების მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის

სხდომის N4 ოქმი

დ. მესტია 30.09.2026 წ.

„2027-2030 წლების მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის“ სხდომა ჩატარდა 2026 წლის 30 სექტემბერს. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, დ. მესტიაში, სეტის მოედანი #1.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის1 მარტის ბრძანების საფუძველზე.

„მესტიის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს - მუნიციპალიტეტის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებიან:

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი- მუნიციპალიტეტის მერის მ.შ: ნელი ნაველიანი

სამუშაო ჯგუფის წევრები:

სალომე კვიციანი- საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ალირა უმფრიანი- ბიუჯეტის დაგეგმვის და ფორმირების განყოფილების უფროსის მ.შ.

ქეთევან ხარძიანი- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ლალი გულედანი- ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი

ირინა ღვაჩლიანი- შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

ეკა გვარლიანი- სოციალური დაცვის სამსახურის სტიქიით დაზარალებულთა და უსახლკაროთა განყოფილების უფროსი.

ლამარა მჭედლიანი- ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი.

მარიამ ნაკანი- მერის მრჩეველი საფინანსო და შესყიდვების საკითხებში

მაია ნაკანი- სოციალური დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ხატია წიკლაური- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის სამუშაო ჯგუფისათვის განსახილველად წარდგენა.

შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი შეეხება მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის გაცნობა/განხილვას, რომელიც შედგენილ იქნა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე.

საფინანსო სამსახურმა სამუშაო ჯგუფს განსახილველად წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის შესახებ, რომელიც დაიგეგმა მხოლოდ საკუთარი შემოსავლების

გათვალისწინებით (სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების გარეშე). 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია--28 210 ათასი ლარის ოდენობით, რაც წინა წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან (25 540 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 2 670 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსება დაგეგმილია 5 126 მლნ ლარით, რაც 2026 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან(5 102 ათ. ლარი) შედარებით 24 ათასი ლარით მეტია, ხოლო 2026 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელთან(15 071 ათ. ლარი) შედარებით 10 მლნ ლარით ნაკლებია(სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერები არაა გათვალისწინებული).

ინფრასტრუქტურული პროექტების ხვედრითი წილი 2027 წლის ბიუჯეტის პროექტში (28 210 მლნ ლარი) 19 %-ია;

2027 წლის ბიუჯეტის პროექტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებზე რესურსები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება -9 743 ათ. ლარი.
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია-5 126 ათ. ლარი.
- დასუფთავება და გარემოს დაცვა-2 390.1 ათ. ლარი.
- განათლება- 3 350 ათ. ლარი.
- კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები- 4 177.8 ათ. ლარი.
- მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.- 3 423.1 ათ. ლარი.

2027 წლისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები და მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისდა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროგრამები და ქვეპროგრამები განსაზღვრულია დანართის მიხედვით.

აღნიშნულ იქნა, რომ მიმდინარე წლის არაუგვიანეს 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წერილობით გვაცნობებს ინფორმაციას 2027 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლის საფუძველზე დაზუსტდება ბიუჯეტის პროექტის მოცულობა.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ფორმირების ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისდა სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, 2027 წლის ასიგნებების მოცულობა რჩება საბიუჯეტო ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების შესაბამისად.

სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები

სამუშაო ჯგუფმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:მიღებულ იქნეს ცნობად საფინანსო სამსახურის მოხსენება მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის შესახებ და გაგრძელდეს მუშაობა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის ფორმირებაზე.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: მუნიციპალიტეტის მერის მ.შ: ნელი ნავერიანი

სამუშაო ჯგუფის წევრები: /სალომე კვიციანი/

/ალირა უმფრიანი/

/ქეთევან ხარძიანი/

/ლალი გულედანი/

/ირინა ღვაჩლიანი/

/ეკა გვარლიანი/

/ლამარა მჭედლიანი/

/მაია ნაკანი/

/მარიამ ნაკანი/

/ ხატია წიკლაური/